

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2009 წლის განკარგულებები

## საძიებელი

N	განკარგულების სარეგისტრაციო ნომერი	განკარგულების მიღების თარიღი	განკარგულების სათაური	გვერდი
1.	N113	20.01.2009	„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე	4
2.	N114	20.01.2009	„ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის N20 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე	8
3.	N115	26.02.2009	ხობის რაიონის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ლიკვიდაციის შესახებ	9
4.	N116	26.02.2009	ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების შენახვის წესების შესახებ	10
5.	N117	30.03.2009	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	13
6.	N118	30.03.2009	რამაზ კიტას სახელის მინიჭების შესახებ	16
7.	N119	30.03.2009	ზვიად დათუაშვილის სახელის მინიჭების შესახებ	17
8.	N120	30.03.2009	გოგა ბერაიას სახელის მინიჭების შესახებ	18
9.	N121	30.03.2009	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის შესახებ	19
10.	N122	25.06.2009	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის N19 განკარგულებაში ცვლილებების შესახებ	20
11.	N123	25.06.2009	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ხობის ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ	22
12.	N124	29.09.2009	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	23
13.	N125	29.09.2009	„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებით დამტკიცებული კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე	24
14.	N126	29.09.2009	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ	25
15.	N127	29.09.2009	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის არჩევისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	26
16.	N128	29.09.2009	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდისა და სატიტულო ფურცლის დამტკიცების თაობაზე	27
17.	N129	29.09.2009	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ	30
18.	N130	28.10.2009	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ	31
19.	N131	28.10.2009	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N50 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ	32

20.	N132	28.10.2009	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ	33
21.	N133	28.10.2009	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აგვისტოს N54 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ	34
22.	N134	28.10.2009	„შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ	35
23.	N135	27.11.2009	საკრებულოს წევრის - ედიშერ ჯობავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ	36
24.	N136	27.11.2009	„ეკონომიკური განვითარების საკითხთა (სოფლის მეურნეობის, მრეწველობა, ვაჭრობა, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვა) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	37
25.	N137	27.11.2009	საკრებულოს წევრის - როზენ ლატარიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ	38
26.	N138	27.11.2009	„იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	39
27.	N139	27.11.2009	„სოციალურ საკითხთა (ჯანდაცვა, კულტურა, განათლება, სპორტი) კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N15 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	40
28.	N140	27.11.2009	შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ“ 2009 წლის 28 ოქტომბრის N134 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	41
29.	N141	22.12.2009	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 29 სექტემბრის N126 და N127 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	42

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება № 113**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 20 იანვარი**

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის №22 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის №22 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ვეტერანთა, ღტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირთა საქმეთა სამსახურში შეიქმნას ვეტერანთა, ღტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილება 2 საშტატო ერთეულით, სამსახურისათვის განსაზღვრული საშტატო რიცხოვნობის ფარგლებში და განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**დანართი**

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურა**

№	სტრუქტურული ქვედანაყოფები და თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნება
1	2	3
<b>გამგეობის თანამდებობის პირები</b>		
1	გამგებელი	1
2	გამგებლის პირველი მოადგილე	1
3	გამგებლის მოადგილე	1
<b>ს უ ლ</b>		<b>3</b>

<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>
<b>გამგეობის აპარატი</b>		
1	აპარატის უფროსი	1
2	გამგებლის თანაშემწე	1
3	მთ. სპეციალისტი	2
4	წამყვანი სპეციალისტი	6
5	უფროსი სპეციალისტი	4
6	ტექნიკური მუშაკები	4
<b>საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება</b>		
7	განყოფილების უფროსი	1
8	მთავარი სპეციალისტი	1
9	წამყვანი სპეციალისტი	1
<b>ს უ ლ</b>		<b>21</b>
<b>გამგეობის სამსახურები</b>		
<b>I. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
<b>საბიუჯეტო განყოფილება</b>		
2	განყოფილების უფროსი	1
3	მთავარი სპეციალისტი	2
4	წამყვანი სპეციალისტი	1
<b>პირველადი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება</b>		
5	განყოფილების უფროსი	1
6	მთავარი სპეციალისტი	1
7	უფროსი სპეციალისტი	1
8	წამყვანი სპეციალისტი	1
<b>ს უ ლ</b>		<b>9</b>
<b>II. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	უფროსი სპეციალისტი	1
<b>მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება</b>		
3	განყოფილების უფროსი	1
4	მთავარი სპეციალისტი	3
5	წამყვანი სპეციალისტი	2
6	უფროსი სპეციალისტი	1

<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>
<b>მშენებლობის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ურბანული დაგეგმარებისა და ინსპექტირების განყოფილება</b>		
7	განყოფილების უფროსი	1
8	მთავარი სპეციალისტი	2
9	წამყვანი სპეციალისტი	2
<b>ს უ ლ</b>		<b>14</b>
<b>III. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	3
3	წამყვანი სპეციალისტი	2
<b>ს უ ლ:</b>		<b>6</b>
<b>IV შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირების საქმეთა სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	1
3	წამყვანი სპეციალისტი	1
<b>ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილება</b>		
4	განყოფილების უფროსი	1
5	მთავარი სპეციალისტი	1
<b>სულ</b>		<b>5</b>
<b>V. ტერიტორიული მართვის ორგანოები</b>		
1	გამგებლის რწმუნებულები	21
2	წამყვანი სპეციალისტი	1
3	სპეციალისტი	48
<b>სულ</b>		<b>70</b>
<b>VI. დელეგირებული სამსახურები</b>		
<b>I. წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	3
3	წამყვანი სპეციალისტი	2
4	უფროსი სპეციალისტი	2
<b>სულ:</b>		<b>8</b>

<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>
<b>II. სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთ. სპეციალისტი	1
3	სპეციალისტი სახანძრო ზედამხედველობის დარგში	1
<b>სანძარსაწინააღმდეგო განყოფილება</b>		
4	განყოფილების უფროსი	1
5	რაზმის უფროსი (უფროსი სპეციალისტი)	4
6	მძღოლი (სპეციალისტი)	8
7	მეხანძრე (სპეციალისტი)	12
8	მეელსმენე (სპეციალისტი)	4
<b>სამაშველო განყოფილება</b>		
9	განყოფილების უფროსი	1
10	მაშველი (სპეციალისტი)	2
<b>ს უ ლ:</b>		<b>35</b>

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ.ჭოსონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება № 114**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 20 იანვარი**

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის №20 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის №20 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) განკარგულების მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ.ჭოხონელიძე/



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება № 115**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 26 თებერვალი**

ხობის რაიონის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის  
ლიკვიდაციის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, საქართველოს სანიტარიული კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 20 თებერვლის №139 წერილის საფუძველზე:

1. ლიკვიდირებულ იქნეს ხობის რაიონის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას ხობის რაიონის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხობის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 აპრილის №15 გადაწყვეტილება „ხობის რაიონის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის შექმნისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ და 2005 წლის 22 აპრილის გამგებლის ბრძანება №10 „ხობის რაიონის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ.ხობი ცოტნე დადიანის ქ.№192).

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი,

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

/რ. წულაია/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება № 116**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 26 თებერვალი**

ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების  
შენახვის წესების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად:

1. დამტკიცდეს „ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების შენახვის წესები“ თანახმად დანართისა.

2. განკარგულებით დამტკიცებული შინაური ცხოველების შენახვის წესების დარღვევისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 171-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საჯარიმო სანქციები განისაზღვროს ფიზიკურ პირებზე 30 ლარის, ხოლო იურიდიულ პირებზე 100 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ფიზიკურ პირებზე – 60 ლარის, ხოლო იურიდიულ პირებზე – 200 ლარის ოდენობით.

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს:

ა) შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, განკარგულებით მიღებული წესების შესრულების კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება;

ბ) დაჭერილი უმეტველურეო, მოხეტიალე შინაური ცხოველების განთავსებისთვის სპეციალური ადგილის გამოყოფის თაობაზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება შპს „ხობი დასუფთავება და განათებასთან“ ერთად.

გ) დაჭერილი ცხოველების სამდლიანი კვებით უზრუნველყოფისა და მათი შენახვის ხარჯების მესაკუთრეთა მხრიდან ამოღების უზრუნველყოფა შპს „ხობი დასუფთავება და განათებასთან“ ერთად.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

/რ. წულაია/

დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2009 წლის 26 თებერვლის №116 განკარგულებისა

### ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების შენახვის წესები

1. წესები ვრცელდება ქალაქ ხობში მცხოვრებ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთაც საკუთრებაში ჰყავთ ძაღლი, ძროხა ან სხვა შინაური ცხოველი (შემდგომში – „ცხოველი“).

2. ცხოველების შენახვა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურად იზოლირებულ ტერიტორიაზე (კარგად შემოღობილი ეზოები, ნაკვეთები, გალიები და სხვა) ან დაბმულ მდგომარეობაში, მოვლა-შენახვის წესების, ზოოჰიგიენური და ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების სრული დაცვით.

3. ცხოველების მესაკუთრეები ვალდებული არიან:

ა) არ დაუშვან ცხოველების გაშვება იზოლირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ – ქალაქის ქუჩებში, პარკებში, სკვერებში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ძაღლების გასეირნება ქალაქის ტერიტორიაზე დასაშვებია მხოლოდ მოკლე საბმელისა და ალიკაპის გამოყენებით;

ბ) მკაცრად დაიცვან ცხოველების შენახვის წესები, უზრუნველყონ გარშემომყოფთა უსაფრთხოება და არ დაუშვან ცხოველების მიერ საერთო სარგებლობის ადგილების დაბინძურება, ნარგავების დაზიანება, აგრეთვე ცხოველებისთვის არაკეთილსაიმედო (ანტისანიტარიული) პროდუქტების გამოყენება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ნარჩენების სახით;

გ) ცხოველების ტრანსპორტით გადაყვანისას უზრუნველყონ მოქალაქეთა უსაფრთხოების წესების დაცვა;

დ) ისარგებლონ ვეტერინარიის სამსახურის სათანადო კონსულტაციებით ამ განკარგულებისა და ცხოველთა შენახვის სხვა წესების შესრულებასთან დაკავშირებით.

4. მოხეტიალე, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ან/და უპატრონოდ მყოფი ცხოველები ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ დაჭერასა და იზოლაციას შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ მიერ, საჭიროების შემთხვევაში პოლიციისა და სხვა კომპეტენტური ორგანოების დახმარებით.

5. შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უმეთვალყურეოდ, უპატრონოდ გაშვებული ცხოველების დაჭერის შემთხვევაში მათ ათავსებს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და უზრუნველყოფს სამდღიანი სათანადო კვებით.

6. დაჭერილი ცხოველის მესაკუთრე ვალდებულია შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ მიაკითხოს სამი დღის ვადაში და წარუდგინოს ცხოველის საკუთრების, მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვაგვარად დაასაბუთოს მოთხოვნის საფუძვლიანობა.

7. მესაკუთრეობის დამტკიცების შემთხვევაში ცხოველი უბრუნდება მის მესაკუთრეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მის მიერ, დადგენილი წესით გადახდილი იქნება ცხოველის შენახვის (კვების) ხარჯები და შესაბამისი ჯარიმის თანხა.

8. სამი დღის ვადაში ცხოველის მესაკუთრის გამოუცხადებლობის ან გამოცხადების შემდგომ შენახვის ხარჯებისა და ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უფლებამოსილია განახორციელოს მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის რეალიზაცია ცხოველის შენახვისა და საჯარიმო თანხის ამოღების უზრუნველყოფის მიზნით.

9. დაჭერილი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის რეალიზაციის შემთხვევაში შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ ვალდებულია ცხოველის მესაკუთრეს დაუბრუნოს თანხა იმ ოდენობით, რაც აღემატება ცხოველის შენახვის ხარჯებისა და საჯარიმო თანხის საერთო ოდენობას. ამასთან შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უფლებამოსილია ცხოველის რეალიზაციის შემდეგ შენახვის ხარჯებისა და ჯარიმის არასაკმარისი თანხის შესავსებად ცხოველის მესაკუთრეს, მფლობელს მოსთხოვოს იმ ოდენობის თანხა, რაც საჭიროა აღნიშნულის შესავსებად.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

/რ. წულაია/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება №117**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 30 მარტი**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2009 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმა თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას განსახილველი საკითხების მომზადება სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
3. დაევალოს საკრებულოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ანგარიშების საკრებულოში წარმოდგენა სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში მოსასმენად.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიას.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის სამუშაო გეგმა**

№	მოსამზადებელი და განსახილველი საკითხის დასახელება	განხილვის ვადა	პასუხისმგებელი შესრულებაზე (საკითხის მომზადებაზე)
1	2	3	5
1.	ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება	I კვარტალი	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია (გამგეობა)
2.	გამგეობის მიერ 2008 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია (გამგეობა)
3.	საკრებულოს კომისიების მიერ 2008 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს შესაბამისი კომისია
4.	საკრებულოს დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ 2008 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია (შესაბამისი იურიდიული პირი)
5.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა	I კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია
6.	ადგილობრივი გადასახადების განაკვეთების დადგენა	I კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია
7.	ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების დადგენა	I კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია
8.	ხობის მუნიციპალიტეტის 2008 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება	I კვარტალი	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია (გამგეობა)
9.	ქალაქის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების შენახვის წესების დადგენა	I კვარტალი	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
10.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების მარეგულირებელი ნორმების დადგენა	II კვარტალი	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
11.	გარე რეკლამის მარეგულირებელი ნორმების დადგენა	II კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია (გამგეობა)
12.	თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკის დადგენა	II კვარტალი	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

1	2	3	5
13.	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დადგენა	II კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია; (გამგეობა)
14.	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების დებულებების გადასინჯვა-განხილვა	II კვარტალი	საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
15.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დადგენა	III კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია; საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია)
16.	გამგეობის მიერ 6 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	III კვარტალი	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია (გამგეობა)
17.	საკრებულოს კომისიების მიერ 6 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	III კვარტალი	საკრებულოს შესაბამისი კომისია
18.	საკრებულოს დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ 6 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	III კვარტალი	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია (შესაბამისი იურიდიული პირი)
19.	ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება	IV კვარტალი	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია (გამგეობა)
20.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდება და მათთვის ნუმერაციის მინიჭება	IV კვარტალი	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია; (გამგეობა)
21.	სხვა მიმდინარე და ინიცირების წესით შემოსული საკითხების განხილვა	სისტემატურად; დადგენილ ვადებში	საკრებულოს შესაბამისი კომისია

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება №118**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 30 მარტი**

რამაზ კიტიას სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და სოფელ ახალი ხიბულის მოსახლეობის 2008 წლის 23 დეკემბრის №295 განცხადების თანახმად:

1. სოფელ ახალი ხიბულის ცენტრში არსებულ ხელოვნურსაფარიან მინისტადიონს ეწოდოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში ტრაგიკულად დაღუპულის, სოფელ ახალ ხიბულაში მცხოვრებ შსს ხობის რაიონული სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებლის, პოლიციის ლეიტენანტის რამაზ კიტიას სახელი.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას – ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ობიექტზე განსათავსებლად შესაბამისი აღმნიშვნელი წარწერის დამზადება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს მ. დემანიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება №119**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 30 მარტი**

ზვიად დათუაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და სოფელ შუა ხორგის მოსახლეობის 2008 წლის 23 დეკემბრის №296 განცხადების თანახმად:

1. სოფელ შუა ხორგაში მშვიდობის ქუჩის ნაწილს, სოფელ პირველი ხორგის საზღვრიდან მდინარე ხობის ხიდამდე ეწოდოს საქართველოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპული სოფელ შუა ხორგის მცხოვრების, ფოთის სამხედრო-საზღვაო ძალების მესაჭე-მესიგნალის, ზვიად დათუაშვილის სახელი.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას – ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ქუჩის მაჩვენებლების დამზადება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს მ. დემანიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება №120**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 30 მარტი**

გოგა ბერაიას სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და სოფელ პირველი ხორგის მოსახლეობის 2008 წლის 23 დეკემბრის №297 განცხადების თანახმად:

1. სოფელ პირველ ხორგაში არსებულ ხელოვნურსაფარიან მინისტადიონს ეწოდოს საქართველოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპული რეზერვისტის გოგა ბერაიას სახელი.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას – ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ობიექტზე განსათავსებლად შესაბამისი აღმნიშვნელი წარწერის დამზადება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს მ. დემანიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება № 121**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 30 მარტი**

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) თანახმად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე არჩეულ იქნეს იგორ ტყეშჩავა, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.
2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საკრებულოს მიერ დადგენილი გამგებლის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. ძალდაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის №20 განკარგულება.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).
5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება № 122**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 25 ივნისი**

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006  
წლის 6 დეკემბრის №19 განკარგულებაში ცვლილებების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის №19 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**დანართი**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურა

№	თანამდებობა	საშტატო ერთეული
I	აპარატის უფროსი	1
II	იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება	5
	მათ შორის:	
1	განყოფილების უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	2
3	წამყვანი სპეციალისტი	2
III	საორგანიზაციო საკითხთა და საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება	5
	მათ შორის:	
1	განყოფილების უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	2
3	წამყვანი სპეციალისტი	2
	<b>სულ</b>	<b>11</b>

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**განკარგულება № 123**

**ქ. ხობი**

**2009 წლის 25 ივნისი**

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ხობის ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

